განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა,
უმაღლესი განათლების პირველი საფეხური

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

11 დეკემბერი, 2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფსიქოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების პირველი საფეხური (ბაკალავრიატი)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0313 ფსიქოლოგია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, 25.11.2011; გადაწყვეტილება № 370

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ნანა ბურდული** - საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ნათია სორდია** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**სალომე საბიაშვილი** - წმინდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ირმა ქურდაძე** - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ჯინა შოგირაძე** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის საბაკალავრო - საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2011 წლიდან. უნივერსიტეტის მისიის პრინციპების შესაბამისად, პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს აკადემიური და თანამედროვე ელემენტარული კვლევის მეთოდების ცოდნით აღჭურვილი, პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნებზე ორიენტირებული, კომპეტენტური, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, მოაზროვნე სპეციალისტის მომზადება, რომელიც ადვილად შეძლებს ცვალებად პროფესიულ გარემოში ადაპტირებას და იქნება ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ლიბერალური ღირებულებებისა და დემოკრატიული პრინციპების მატარებელი.

პროგრამაში მიზნები საკმაოდ დეტალიზირებულად არის წარმოდგენილი და მოიცავს: 1. ფართო ცოდნის მიცემას ფსიქოლოგიის მეცნიერების ძირითადი დარგების ცნებების, ინტერპრეტაციის, განმარტების, ფსიქოლოგიური დახმარების, მხარდაჭერის და კონსულტირების საკითხებს; 2. შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკულ (მათ შორის შესაბამისი დონის კვლევების) საქმიანობაში გამოყენებას, ანალიზსა და განზოგადების უნარ-ჩვევების გამომუშავებას; 3. ცდისპირებთან მასალის შეგროვებისა და დამუშავების საფუძველზე პრაქტიკული უნარ–ჩვევების დაუფლებას; 4. ექსპერიმენტული თუ დაკვირ-ვების მეთოდით მოპოვებული ინფორმაციის, მონაცემთა ანალიზისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შესაბამისი ცოდნის გენერირებას და პრეზენტაციების უნარ-ჩვევების გამომუშავებას; 5. საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენისა და

დამოუკიდებლად განხორციელების, ახალი ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ უახლესი სამეცნიერო ინფორმაციის მოპოვებას,დ ამუშავებას, შეფასებას და ეთიკის პრინციპების დაცვით პროფესიული საქმიანობის განხორციელებას; 6. პროფესიული პასუხის-მგებლობისა და სათანადო ეთიკური ნორმების დაცვას პრაქტიკულ ღირებულებათა დამკ-ვიდრების პროცესში. 7. ფსიქოლოგიის დარგში ფართო ცოდნის შეძენას, ცოდნის ყოველ-დღიურ ცხოვრებაში გამოყენებასა და ელემენტარული სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევებით შრომის ბაზარზე ან შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების თუ სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში მონაწილეობის შესაძლებლობას.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს, 8 სემესტრს. პროგრამა აგებულია შემდეგი კომპონენტებით: (ა)სპეციალობის ზოგადი და საბაზისო კურსები (50 კრედიტი, მათ შორის, 20 კრედიტი ეთმობა ინგლისურ ენას და დარჩენილი 30 კრედიტი - ფსიქოლოგიის საფუძვლებს და სხვა არასპეციალობის სასწავლო კურსებს), (ბ) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები (155 კრედიტი და მათ შორის, 10 კრედიტი განკუთვნილია საბაკალავრო ნაშრომისთვის) და (გ) სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები (25 კრედიტი - სტუდენტებს საკმაოდ მრავალფეროვანი სასწავლო კურსები შეეთავაზებათ (25 სასწავლო კურსი) და მათგან მხოლოდ 5 კურსის არჩევის შესაძლებლობა აქვთ და (დ) თავისუფალი კრედიტები (10 კრედიტი)).

აღნიშნული სტრუქტურა, როგორც მასში შემავალი კომპონენტების, ისე კურსებისა და კრედიტების გადანაწილების თვალსაზრისით, უმეტესწილად, შეესაბამება და აკმაყოფილების მინისტრის ბრძანების (N69/ნ) მოთხოვნებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ქვეყანაში ეპიდვითარების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ „ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის“ შეფასება 2021 წლის 28-29 ოქტომბერს დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების, კერძოდ, Zoom-ის პროგრამის გამოყენებით განხორციელდა.

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტები, წინასწარ შემუშავებული და დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის შესატყვისად, გაესაუბრნენ უნივერსიტეტის პერსონალს: უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ბიბლიოთეკარსა და დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა, ბიბლიოთეკარის დახმარებით, ნახა, როგორ მუშაობს უსდ-ის ელექტრონული ბიბლიოთეკა.

აკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში. ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული. დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრები დროულად, შეფერხებების გარეშე გაიმართა. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

„ფსოქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა“, მეტწილად, ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით ჩამოთვლილ მოთხოვნებს და სრულ შესაბამისობაშია III, IV და V სტანდარტთან, ხოლო მეტწილ შესაბამისობაში — I, II, სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

1.1.

- მიზანშეწონილია მიზნების დაზუსტება და რეფორმულირება ისე, რომ ჭარბ დეტალიზაციას და შესაბამისად, შინაარსობრივ ურთიერთგადაფარვას არ ჰქონდეს ადგილი.

1.2.

- მიზანშეწონილია პროგრამის კვლევით კომპონენტთან დაკავშირებული შედეგებისა და ამ შედეგზე გამსვლელი კურსების შედეგების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა.

2.2.

- მიზანშეწონილია: ან (ა) კონცენტრაციის სახით გამოიყოს კლინიკური ან/და სხვა მიმართულებ(ებ)ა, რომლის მოცულობა კლასიფიკატორის მე-6 მუხლის, მე-7 პუნქტის თანახმად, არ უნდა აღემატებოდეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით და კონცენტრაციის სწავლის შედეგი უნდა აისახოს პროგრამის სწავლის შედეგებში ან (ბ) ძირითად სასწავლო კომპონენტში წარმოდგენილი სპეციფიური კურსები შეთავაზებული იყოს ასარჩევი სასწავლო კურსების სახით, რაც მეტი არჩევანის შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს.
- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსები და განისაზღვროს მათი თანმიმდევრობა წინაპირობების გათვალისწინებით.

2.3.

- რეკომენდებულია პროგრამა შინაარსობრივად გაღრმავდეს კვლევითი კომპონენტის მიმართულებით, რელევანტური საგნების დამატებით ან/და არსებული კურსების შინაარსის მოდიფიცირებით.

4.1.

- მიზანშეწონილია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რათა მათ ეფექტურად შეძლონ როგორც აკადემიური (ლექცია-სემინარები, საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღანელობა), ისე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

2.3.

- სასურველია დაზუსტდეს სასწავლო კურსის “ფსიქოლოგიის მეთოდები” სახელწოდება.

2.4.

- სასურველია პრაქტიკული კომპონენტის სრულყოფის მიზნით, დაკონკრეტდეს და დეტალურად გაიწეროს პროფესიული პრაქტიკის სილაბუსი.

2.5.

- სასურველია, სტუდენტების სალექციო პროცესში მეტი ჩართულობის მიზნით, დაკონკრეტდეს სილაბუსებში ასახული სწავლების მეთოდები სალექციო თემატიკის მიხედვით.

2.6.

- სასურველია, შეფასების კომპონენტები და მეთოდები მეტად იყოს მორგებული თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკასა და კურსის სწავლის შედეგებს;
- სასურველია, სტუდენტების მეტად ინფორმირება უნივერსიტეტში არსებული აპელაციის მექანიზმის შესახებ.

3.1.

- სასურველია სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა საერთაშორისო მობილობაში, ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში.

4.2.

- სასურველია მოწვეული პერსონალის მოტივირება, რათა მეტად გააქტიურდნენ როგორც კვლევითი საქმიანობის (კვლევა და გამოქვეყნება), ისე უსდ-ს მიერ შეთავაზებულ განმავითარებელ აქტივობებში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

2.6.

- კარგად გამართული ელექტრონული პორტალი, რომელშიც ასახულია სტუდენტისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია; ხელმისაწვდომი ელექტორნული ბიბლიოთეკა, რომელშიც იძებნება სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა; აღნიშნული სისტემა საკმაოდ მარტივი საკომუნიკაციო საშუალებაა სტუდენტსა და უნივერსიტეტის აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ პერსონალს შორის.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამა განხორციელების პროცესში სისტემატიურად ვითარდებოდა. პერიოდულად ხდებოდა სწავლის შედეგების გაანალიზება და შეფასება, რის საფუძველზეც, საჭიროებიდან გამომდინარე, თეორიული მასალისა და თანამედროვე ინფორმაციის უფრო სრულყოფილი ათვისებისა და შეფასების ობიექტურობის გაზრდის მიზნით, ხდებოდა სწავლის შედეგებისა და შეფასების სისტემის მოდიფიცირება. კერძოდ, დაზუსტდა თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა, განისაზღვრა ან შეიცვალა სასწავლო კურსის სწავლება/სწავლის მეთოდები. განახლდა ლიტერატურა, ცლილებები განხორციელდა სასწავლო კურსებში: გაიზარდა ზოგიერთი სასწავლო კურსის მოცულობა (მაგალითად, განვითარების ფსიქოლოგიის) და დაემატა ახალი სასწავლო კურსები (მაგალითად, ძირითად სასწავლო კურსებს დაემატა „ლოგოპედია“)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან გარკვეულწილად შესაბამისობაშია ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანი მოამზადოს მაღალკვალიფიციური კადრი ფსიქოლოგიის სფეროში არსებული ფართო ცოდნითა და კვლევის ჩატარებისთვის საჭირო ელემენტარული უნარებით, რომელიც ეთიკის პრინციპების დაცვით შეძლებს ხსენებული ცოდნისა და უნარების გამოყენებას, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასევე პროფესიული საქმიანობისას და სწავლის შემდგომ საფეხურზე გასაგრძელებლად. საბაკალავრო პროგრამის მიზნების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია, როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ისე სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების შეხედულებები, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა, პროცესში ეს ადამიანები სხვადასხვა გზით იღებდნენ მონაწილეობას (მაგ. შეხვედრები, ელექტრონული კითხვარები). შესაბამისად, ყველა დაინტერესებული პირი ჩართული იყო პროგრამის და მისი მიზნების შემუშავების პროცესში. თუმცა, მიზნების ფორმილურებისას ვხვდებით დეტალიზაციასა და შესაბამისად, შინაარსობრივ ურთიერთგადაფარვას, რაც მიზნის რეფორმულირების საჭიროებას აჩენს. მაგ. მე-2 მიზანში ვკითხულობთ; „შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკულ (მათ შორის შესაბამისი დონის კვლევების) საქმიანობაში გამოყენების, ანალიზისა და განზოგადების უნარ-ჩვევების გამომუშავება; აქტუალური ცოდნის საფუძველზე, წინასწარი მითითების შესაბამისად, საბაკალავრო დონის კვლევითი სამუშაოების დაგეგმვის უნარის, ლაბორატორიული მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენების უნარ–ჩვევების გამომუშავება“ კვლევითი სამუშაოების დაგეგმვა-განხორციელებასთან დაკავშირებული ეს ასპექტი მეორდება მე-3 მიზანში, სადაც ვკითხულობთ - „ცდის პირებთან მასალის შეგროვებისა და დამუშავების საფუძველზე პრაქტიკული უნარ–ჩვევების დაუფლება; ფსიქიკური პროცესების კანონზომიერებების შესახებ სათანადო დასკვნების ჩამოყალიბების უნარ-ჩვევების გამომუშავება“. თუკი მესამე მიზანი განსხვავებულ შინაარსს მოიაზრებს, მაშინ უნდა მოხდეს მისი ისე ფორმულირება, რომ ეს განსხვავება თვალსაჩინო იყოს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის მისია
- შრომისა და განათლების ბაზრის კვლევის ანალიზი (დანართი 1.1.8);
- ვებგვერდი - www.bsu.edu.ge ;
- მიზნის განსაზღვრის შესახებ. სამუშაო ჯგუფის ოქმი N2 (დანართი 1.1.5);
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია მიზნების დაზუსტება და რეფორმულირება ისე, რომ ჭარბ დეტალიზაციას და შესაბამისად, შინაარსობრივ ურთიერთგადაფარვას არ ჰქონდეს ადგილი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსა და პასუხისმგებლობას, რასაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. აღწერილი სწავლის შედეგები შეესაბამება ფსიქოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციას. საბაკალავრო პროგრამის მიზნებს შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგები. შედეგებიდან ჩანს, რომ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტი შეძლებს, ფსიქოლოგიის ძირითადი ცნებების აღწერას, ადამიანის განვითარებაზე გავლენის მქონე გარემო და მემკვიდრეობითი ფაქტორების შესახებ მსჯელობას, მიღებული ცოდნის კრიტიკულ გააზრებას. შეძლებს ახსნას ფსიქოლოგიის მნიშვნელობა განათლების,

მედიცინის, სოციალურ თუ ეგზისტენციალურ სფეროში. დეკლარირებული შედეგების თანახმად, სტუდენტი შეძენილ პრაქტიკულ უნარებს გამოიყენებს როგორც სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, ასევე ფსიქიკური პროცესების შეფასებისთვის, გამოიყენებს პრეზენტაციისა და კომუნიკაციის უნარებს სხვადასხვა სპეციელისტებთან და შესაბამისი სერვისის საჭიროების მქონე პირებთან პრობლემის არსებობისა და ამ პრობლემის გადაჭრის შესახებ ინფორმაციის გაზიარებისას. იხელმძღვანელებს ეთიკური პრინციპებით პროფესიული საქმიანობისას.

წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების რუკაზე დაყრდნობით, შესაძლებელი ხდება პროგრამისა და ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ურთიერთშედარება. შედარებიდან ჩანს, რომ საჭიროა ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსში ასახული მიზნებისა და შედეგების შესაბამისობაში მოყვანა უნივერსიტეტის მისიასთან და საბაკალავრო პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან. მაგ. საბაკალავრო პროგრამის შედეგებიდან ირკვევა, რომ კურსდამთავრებული შეძლებს დაგეგმოს და ჩაატაროს სამეცნიერო კვლევა, გაანალიზოს და განაზოგადოს შედეგები. თუმცა ცალკეული საგნების (მაგ. "ფსიქოლოგიის მეთოდები", "სტატისტიკა") სილაბუსებში ასახული სწავლის შედეგები ნაკლებად შეესაბამება საბაკალავრო პროგრამის ხსენებულ შედეგს (იხ. სტანდარტი 2.3).

შეიძლება ითქვას, რომ ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია. შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური მოსწრების ანალიზს, ლექციებისა და სემინარების პერიოდულ მონიტორინგსა და სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, მაგ. გამოცდების შეფასების ობიექტურობის გასაზრდელად, შეიქმნა საგამოცდო ცენტრი. ცენტრში დაწერილი გამოცდები იშიფრება და გასწორებისას შეუძლებელია გამსწორებლის მხრიდან ნაშრომის ავტორის იდენტიფიცირება. შეფასების ობიექტურობის ზრდის მიზანს ემსახურება, სილაბუსებში ასახული შემდეგი ცვლილებებიც: შეფასების კომპონენტთა რაოდენობა გაიზარდა და გამრავალფეროვნდა, ორი რეიტინგული შუალედური გამოცდა შეიცვალა ერთით, აღსანიშნავია, რომ პროცესში ჩართული, დაინტერესებული მხარეების (მაგ. კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) შეხედულებების გათვალისწინებით პროგრამას დაემატა რიგი პრაქტიკული საგნების (მაგ. ლოგოპედია).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა - დანართი 1.2.1
- პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების რუკა - დანართი1.2.2.
- კურიკულუმის რუკა - დანართი 1.2.3.
- შრომის ბაზრის ანალიზი, სამუშაო ჯგუფი, ოქმი N3. - დანართი 1.2.5.
- სტუდენტების გამოკითხვა - დანართი 1.2.12
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი - დანართი 1.2.13
- პერსონალის გამოკითხვა - დანართი 1.2.14

○ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან და თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები: ○ მიზანშეწონილია პროგრამის კვლევით კომპონენტთან დაკავშირებული შედეგებისა და ამ შედეგზე გამსვლელი კურსების შედეგების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულ პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები გამჭვირვალეა და ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით. პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, დადგენილი წესის შესაბამისად. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხულისტუდენტი ყოველწლიურად გადის აკადემიურ რეგისტრაციას და ირჩევს საგნებს. ბსუ-ში სტუდენტის სტატუსის მოპოვება, ასევე, შესაძლებელია მობილობისა და შიდა მობილობის გზით რექტორის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა - დანართი 2.1.1 ○ საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ - დანართი 2.1.2 ○ უსდ-ის ვებგვერდი - www.bsu.edu.ge ○ ბსუს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ○ აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, თანდართულ დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტზე დაფუძნებით, ირკვევა რომ მოცემული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის, კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს მოთხოვნების გათვალისწინებით და ბსუ-ში შემუშავებული პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს, 8 სემესტრს.

240 კრედიტიანი პროგრამა აგებულია შემდეგი კომპონენტებით: (ა)სპეციალობის ზოგადი და საბაზისო კურსები (50 კრედიტი, მათ შორის, 20 კრედიტი ეთმობა ინგლისურ ენას და დარჩენილი 30 კრედიტი - ფსიქოლოგიის საფუძვლებს და სხვა არასპეციალობის სასწავლო კურსებს), (ბ) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები (155 კრედიტი და მათ შორის, 10 კრედიტი განკუთვნილია საბაკალავრო ნაშრომისთვის) და (გ) სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები (25 კრედიტი - სტუდენტებს საკმაოდ მრავალფეროვანი სასწავლო კურსები შეეთავაზებათ (25 სასწავლო კურსი) და მათგან მხოლოდ 5 კურსის არჩევის შესაძლებლობა აქვთ და (დ) თავისუფალი კრედიტები (10 კრედიტი).

უნდა აღინიშნოს, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ძირითადად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და ასევე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსს და სწავლის შედეგებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროგრამის ძირითად სასწავლო კურსებში ბაზისური და ზოგადი სასწავლო კურსების გარდა, რომელიც შეესაბამება სწავლების საბაკალავრო საფეხურს, ვხვდებით ისეთ სპეციფიურ სასწავლო კურსებს, რომლებიც ფოკუსირებულია ფსიქოლოგიის კონკრეტულ სფეროზე, კერძოდ, კლინიკურ ფსიქოლოგიაზე; მაგ., ვხვდებით ისეთ სასწავლო კურსებს, როგორიცაა: ფსიქოთერაპია, ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოთერაპია, ნეიროფსიქოლოგია, გეშტალტთერაპია, ჯანმრთელობის ფსიქოლოგია.

ამავე დროს, როგორც წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ და აკრედიტაციის ვიზიტის დროს პროგრამის ხელმძღვანელთან და თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუმ აჩვენა, წარმოდგენილი შინაარსი ეფუძნება პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და დარგის სხვა სპეციალისტების გამოკითხვების ანალიზს, საიდანაც ჩანს რომ მოთხოვნა დიდია კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულებით.

ზემოთ განხილულიდან გამომდინარე:

(ა) თუ უსდ-ს მიერ წარმოდგენილ პროგრამაში მეტი ფოკუსი კეთდება მაგ., კლინიკური ფსიქოლოგიის ან სხვა მიმართულების კურსებზე, მაშინ მიზანშეწონილია კონცენტრაციის სახით გამოიყოს კონკრეტული მიმართულებ(ები)ა, რომლის მოცულობა კლასიფიკატორის მე-6 მუხლის, მე-7 პუნქტის თანახმად, არ უნდა აღემატებოდეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით და კონცენტრაციის სწავლის შედეგი ასახული უნდა იყოს პროგრამის სწავლის შედეგებში. საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაციის არსებობა არ ცვლის ამ პროგრამის სწავლის სფეროს ან/და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

(ბ) ან, ძირითადი სასწავლო კომპონენტიდან ამოღებულ იქნას წარმოდგენილი სასწავლო კურსები (მაგ. „გეშტალტთერაპია“, „ფსიქოთერაპია“, „ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოთერაპია“, „ნეიროფსიქოლოგია“ და სხვა) და შეთავაზებული იყოს ასარჩევი სასწავლო კურსების სახით, რაც გაზრდის ასარჩევი კრედიტების მოცულობას და მეტი არჩევანის შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს.

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსების თანმიმდევრულობა წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში სემესტრების სახით, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით პროგრამის სასწავლო კურსების თანმიმდევრულობა გადასახედია წინაპირობების თვალსაზრისით. მაგალითად, კურსი შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია წინაპირობის გარეშეა, როდესაც მოცემული სასწავლო კურსის შინაარსი, მასში განხილული კანონზომიერებები მთლიანად ეფუძნება სოციალური ფსიქოლოგიის კანონზოპმიერებებს; ასევეა, - ლიდერობა და გენდერი; გენდერული ფსიქოლოგია; ან გეშტალტთერაპია, რომელიც ფსიქოთერაპიის ერთ-ერთი მეთოდია, წინაპირობის გარეშე შეეთავაზებათ სტუდენტებს და ამავდროულად, ფსიქოთერაპიაც შედის სასწავლო კურსებში; ასევე, - ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოთერაპიის გაგება შეუძლებელია განვითარები ფსიქოლოგიის ცოდნის გარეშე, აღნიშნული სასწავლო კურსიც წინაპირობის გარეშეა და სხვ. შესაბამისად, რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსები და განისაზღვროს მათი თანამიმდევრობა წინაპირობების გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
- უსდ-ის ვებგვერდი;
- ფსიქოლოგიის საბალაკავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;

- კურიკულუმის რუკა
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმოამდგენელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია: ან (ა) კონცენტრაციის სახით გამოიყოს კლინიკური ან/და სხვა მიმართულებ(ებ)ა, რომლის მოცულობა კლასიფიკატორის მე-6 მუხლის, მე-7 პუნქტის თანახმად, არ უნდა აღემატებოდეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით და კონცენტრაციის სწავლის შედეგი უნდა აისახოს პროგრამის სწავლის შედეგებში ან (ბ) ძირითად სასწავლო კომპონენტში წარმოდგენილი სპეციფიური კურსები შეთავაზებული იყოს ასარჩევი სასწავლო კურსების სახით, რაც მეტი არჩევანის შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს.
- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსები და განისაზღვროს მათი თანმიმდევრობა წინაპირობების გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მეტ-ნკლებად, შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებსა და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან და შესაბამის საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად უსდ-ს მიერ წარმოდგენილია სწავლის შედეგების რუკა, რომელიც აღწერს, პროგრამის რომელ სწავლის

შედეგ(ებ)ზე გადის ესა თუ ის მოდული და თითოეულ მოდულში შემავალი ცალკეული კურსი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის თვალსაზრისით, ზოგიერთი სასწავლო კომპონენტი საჭიროებს გაძლიერებას.

მაგალითად, საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისთვის, როდესაც თანაბრად შესაძლებელია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევების განხორციელება, სასწავლო კურსი, ფსიქოლოგიის მეთოდების სახით (რომელიც ძირთადად თვისებრივ მეთოდებს ფარავს) და თუნდაც ექსპერიმენტული ფსიქოლოგია საკმარისი არ არის კვლევის ჩატარებისა და მიღებული შედეგების დასამუშავებლად.
მაგ. პროგრამის ფარგლებში კვლევის სტრატეგიების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზანს ემსახურება საგანი „ფსიქოლოგიის მეთოდები“. საგნის სილაბუსის თანახმად, კურსის დასრულების შემდეგ „სტუდენტი შეძლებს რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებას ფსიქოლოგიური კვლევების დროს, კითხვარის შედგენას და კვლევის ჩატარებას, ფსიქომეტრული და პროექციული ტესტების გამოყენებას“. მოცემული კურსის ფარგლებში გაწერილი საკითხები ნამდვილად შეუქმნის სტუდენტს ფსიქოლოგიაში გამოყენებული კვლევის მეთოდების შესახებ წარმოდგენას, თუმცა კურსის მოცულობა და შინაარსი არ არის საკმარისი იმისთვის, რომ სტუდენტმა ამ ერთი კურსის დასრულების შემდეგ, შეძლოს მაგ. კითხვარების შექმნა (მეცნიერული კვლევისთვის გამოსადეგი კითხვარის შესადგენად საჭირო ფსიქომეტრული ანალიზის სტრატეგიების (მაგ. EFA ან CFA) ან/და შესაბამისი სტატისტიკური ტექნიკების სწავლება პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსიებს ფარგლებში არ ხდება). უკვე არსებული კითხვარების ადმინისტრირება, კითხვარიების შექმნაზე მეტად რეალისტური შედეგია და თან შესაბამისობაში იქნება როგორც სასწავლო კურსის, ისე საბაკალავრო პროგრამის შედეგთან. ასევე, არარეალისტურია მხოლოდ ამ ერთი კურსის გავლის შემდეგ, იმის თქმა, რომ სტუდენტი შეძლებს კვლევისთვის პროექციული ტესტების (მაგ. რორშახის მელნის ლაქების ტესტი) გამოყენებას. გამომდინარე აქედან, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, აუცილებელია კვლევითი კომპონენტის გაძლიერება - მიზანშეწონილია გაიზარდოს სასწავლო კურსების მოცულობა კვლევითი კომპონენტის მიმართულებით. ეს შესაძლოა მოხდეს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის გაძლიერებაზე ორიენტირებული, რელევანტური საგნების დამატებით (მაგ. SPSS ან R) და/ან არსებულ საგანთა სილაბუსების მოდიფიცირებით (მაგ. საგანები „ფსიქოლოგიის მეთოდები“ და „სტატისტიკა“).

რაც შეეხება კვლევითი უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ კურსს „სტატისტიკას“, რომლის ფარგლებშიც ხდება ისეთი თემების განხილვა, როგორიცაა ხი-კვადრატი, კორელაციური ან რეგრესიული ანალიზი. ეს ინფორმაცია ძალიან მნიშვნელოვანია სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებისთვის. მიზანშეწონილია ხსენებულ საგნებში („ფსიქოლოგიის მეთოდები“ და „სტატისტიკა“) განხილული საკითხების ისე სინქრონიზება/დაახლოება, რომ სტუდენტმა მიღებული ცოდნის გამოყენება შეძლოს კვლევის დაგეგმვისა და ანალიზისთვის, მაგ. საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, სასწავლო კურსის - ფსიქოლოგიის მეთოდები სახელწოდების შესახებ. თუ საგნის მიზანი ფსიქოლოგიის ფარგლებში გამოყენებული კვლევის მეთოდების

შესწავლაა, მიზანშეწონილია ეს სათაურშიც ჩანდეს, მაგ. ერქვას „ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები“. თუ საგნის მიზანი ფსიქოლოგიური პროცესებისა და მდგომარეობების შეფასება/დიაგნოსტირების (თუმცა დიაგნოსტირების უნარის განვითარების შესახებ საუბარი საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში არ არის რელევანტური) მეთოდების შესწავლაა, მაშინ შესაბამისად უნდა ერქვას „ფსიქოლოგიური შეფასების მეთოდები“. სასურველია დაზუსტდეს აღნიშნული სასწავლო კურსის სახელწოდება.

თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა განსაზღვრულია კრედიტებით. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრისას გათვალისწინებულია კურსის შინაარსი, კურსის ფარგლებში დაგეგმილი და დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებების მოცულობა და შინაარსი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები. თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები დამაკმაყოფილებლად აფასებენ კურსის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს.

კურსის სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო სავალდებულო და დამხმარე რესურსები და ლიტერატურა. კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე და სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის საშუალებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონული ბაზებზე ხელმისაწვდომობას.

საჭიროებიდან გამომდინარე, ეტაპობრივად ხდება წიგნადი ფონდის განახლება. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში სტუდენტს შეუძლია უახლეს კვლევებზე შექმნილი გამოცემების მოძიება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- ბიბლიოთეკის ონლაინ დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- პროგრამის განმახორციელებლ პერსონალთან და ხელმძღვანელებთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

○ რეკომენდებულია პროგრამა შინაარსობრივად გაღრმავდეს კვლევითი კომპონენტის მიმართულებით, რელევანტური საგნების დამატებით ან/და არსებული კურსების შინაარსის მოდიფიცირებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია დაზუსტდეს სასწავლო კურსის "ფსიქოლოგიის მეთოდები" სახელწოდება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა, სწავლის შედეგების შესაბამისად, მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას. წარმოდგენილი პროგრამა ხორციელდება უსდ-ის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ბაზაზე. როგორც უსდ-ს თვითშეფასებაში ვკითხულობთ, სტუდენტები აქტიურად თანამშრომლობენ სასწავლო და სამეცნიერო კვლევით პროცესში, ფსიქოლოგიის საბაკალავრო - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები შინაარსობრივად თანმიმდევრულია და სტუდენტს თეორიულ ცოდნასთან ერთად უვითარებს პრაქტიკულ, კვლევით და ტრანსფერულ უნარებს, რაც მიიღწევა შესაბამისი მეთოდების გამოყენებით. პროგრამა ერთი მხრივ, ხელს უწყობს სტუდენტის **კვლევითი უნარების** განვითარებას ისეთი კურსების ფარგლებში, როგორებიცაა ფსიქოლოგიის მეთოდები, ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, სტატისტიკა და საბაკალავრო ნაშრომი (10 კრედიტი). როგორც წესი, კონკრეტული კვლევის ფარგლებში თითოეულ სტუდენტს უწევს შესაბამისი კვლევის დაგეგმვა, მონაცემთა შეგროვება, დამუშავება, ანალიზი და ინტერპრეტაცია და კვლევითი ანგარიშის დაწერა შესაბამისი კურსების სწავლების სემესტრსა და სწავლების მერვე სემესტრში; ყველა ამ კვლევით კომპონენტში სტუდენტებს ხელმძღვანელობას უწევენ ფსიქოლოგიის დარგში წამყვანი სპეციალისტები, რომლებიც პროგრამასა და თითოეული კურსის სილაბუსში განსაზღვრული წესით აფასებენ სტუდენტების კვლევითი საქმიანობას.

თითოეული სტუდენტი თავის ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს), საბაკალავრო ნაშრომის მომზადების პროცესში, ხვდება რეგულარულად, რათა სტუდენტს ჰქონდეს კვლევის დინამიკაზე ანგარიშგების შესაძლებლობა, ხოლო პედაგოგს – სათანადო კონსულტირების საშუალება. თუმცა როგორც ინტერვიუებიდან გაირკვა, სტუდენტი ხელმძღვანელისა და სტატისტიკოსის დამატებითი დახმარების გარეშე ვერ ახერხებს მიღებული შედეგების დამუშავებას და შესაბამისად, საბაკალავრო ნაშრომის სრულყოფას. შესაბამისად, პროგრამა მეტწილად უზრუნველყოფს სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარებას და სასურველია პრაქტიკული-კვლევითი უნარების გაძლიერება (იხილეთ სტანდარტი 2.3). **პრაქტიკის კომპონენტი** პროგრამაში გათვალისწინებულია შემავალი ფართო სპექტრის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სახით, რომლებიც შეთავაზებულია ძირითადად, კლინიკური ფსიქოლოგიის ფარგლებში და ამავე დროს, შეეთავაზებათ სავალადებულო სასწავლო კურსი - პროფესიული პრაქტიკა. რეკომენდებულია, სილაბუსში კვირების მიხედვით გაიწეროს ის ზოგადი ჩარჩო და საქმიანობების/აქტივობების თანმიმდევრობა, რომლის შესრულებაც მოუწევს სტუდენტს. მაგალითად, რა დრო ეთმობა ობიექტზე ორიენტაციას/გაცნობას, სავარაუდო ამოცანების დასახვასა და გეგმის გაწერას, შესრულებასა და შესრულებული სამუშაოს გადამოწმების ეტაპებსა და პრეზენტაციებს. რაც შეეხება ტრანსფერულ უნარებს, პროგრამაში შემავალ პრაქტიკულად ყველა კურსს, საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით, თავისი წვლილი შეაქვს მათ განვითარებაში. გარდა ამისა, მეცნიერული კვლევის უნარით განსაკუთრებულად გამორჩეული სტუდენტები ჩართულნი არიან საგრანტო პროექტებშიც, უნივერსიტეტი სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, რაც რეგულირდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულებით
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო პროგრამა და მასში შემავალი კურსების სილაბუსები; ○ პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია პრაქტიკული კომპონენტის სრულყოფის მიზნით, დაკონკრეტდეს და დეტალურად გაიწეროს პროფესიული პრაქტიკის სილაბუსი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ სასწავლო კურსში გამოყენებული სწავლა/სწავლების მეთოდები სტუდენტზე ორიენტირებულია, და განაპირობებს ამ კურსის სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას, ხოლო მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა მოიცავს მრავალფეროვან სწავლა/სწავლების მეთოდებს: ლექციას, ლაბორატორიულ მეცადინეობას, პრაქტიკულ, ჯგუფურ მუშაობას, საველე პრაქტიკას და სხვა მეთოდებს. სწავლება ხორციელდება სხვადასხვა აქტივობით: ვერბალურით, დემონსტრირებით, ახსნა–განმარტებით, დაკვირვება/აღწერით, შედარებით, ჯგუფური მუშაობით (collaborative), დისკუსია/დებატებით, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებით (PBL); თანამშრომლობითი სწავლებით, შემთხვევის ანალიზით, გონებრივი იერიშით, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლებით, როლური და სიტუაციური თამაშებით, ელექტრონული სწავლებით (E-learning) და სხვა.).

სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლების პროცესში გამოიყენება სწავლა/სწავლების მეთოდების და აქტივობების კომბინაცია. მიუხედავად იმისა, რომ თოთოეულ სილაბუსში ასახულია სწავლის მეთოდები კვირების მიხედვით, არ არის მითითებული კონკრეტულად რა შინაარსის მატარებელია თითოეული მეთოდი. საურველია თითოეული სწავლის მეთოდი შინაარსის მიხედვით იქნას აღწერილი.

შესაბამისად, სტუდენტების სალექციო პროცესში მეტი ჩართულობის მიზნით, სასურველია სილაბუსებში არსებული სწავლების მეთოდები სალექციო თემატიკის მიხედვით დაკონკრეტდეს.

სტუდენტებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სწავლა–სწავლების მეთოდები, რომლებიც ასახულია სილაბუსებში, მათთვის მისაღებია.

სწავლება–სწავლის მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სასწავლო საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე და სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სწავლის შედეგების მისაღწევად შესაძლებელია სწავლების/სწავლის

სხვა მეთოდების/აქტივობების გამოყენებაც. შესაძლებელია სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. აგრეთვე, ,,ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილებით დამტკიცებულია განსაკუთრებული საგანმანათ-ლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმი,რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესში სტუდენტთა შეუფერხებელი ჩართულობის მიზნით სასწავლო პროცესის დაგეგმვას მათი შესაძლებლობების, საჭიროებებისა და აკადემიური დონის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სწავლების/სწავლის მეთოდები/აქტივობები პასუხისმგებელი პედაგოგის მიერ შესაბამის სილაბუსში აისახება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის აღწერილობა და სილაბუსები ○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები ○ ,,ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 ○ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთა ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები: ○ სტუდენტების სალექციო პროცესში მეტი ჩართულობის მიზნით, სასურველია დაკონკრეტდეს სილაბუსებში ასახული სწავლების მეთოდები სალექციო თემატიკის მიხედვით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთა ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის დროს ინტერვიუირების შედეგად მიღებული ინფორმაციის შედარებისა და ანალიზის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ სტუდენტების შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე, კანონთან შესაბამისი, სტუდენტებისთვის ცნობილი, რეგულირებული უნივერსიტეტში არსებული ''სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის'' მიხედვით.

თითოეულ სილაბუსში გაწერილია შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კრიტერიუმები და მეთოდები მსგავსია კურსების დიდი ნაწილისთვის (მაგ. შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, გენდერული ფსიქოლოგია, ნეიროფსიქოლოგია, ექსპერიმენტული ფსიქოლოგია), შესაბამისად იკვეთება მათი გადახედვისა და თითოეულ კურსზე, მის შედეგებზე, მორგების საჭიროება.

დოკუმენტაციისა და ინტერვიუირების შედეგად მიღებული ინფორმაციის მიხედვით, აკადემიურ პერსონალს უტარდება ტრენინგები შეფასების თანამედროვე მეთოდების ათვისებისა და დანერგვის მიზნით.

სტუდენტებისთვის ცნობილია შეფასების კრიტერიუმები, კომპონენტები, მეთოდები, ელექტრონულ პორტალზე ატვირთულია სილაბუსები, რომლებშიც გაწერილია შეფასების მეთოდები და ფორმები კვირების მიხედვით.

სტუდენტები უკუკავშირის სახით იღებენ, როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას - ელექტრონულ პორტალზე ესახებათ, როგორც ქულა, ისე კომენტარი ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. ელექტრონულ პორტალზევე იტვირთება სტუდენტების მიმდინარე, შუალედური და დასკვნითი შეფასებები, რაც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს, იყოს ინფორმირებული მისი სწავლის შედეგების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, იზრუნოს გაუმჯობესებაზე.

უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების აპელაციის მექანიზმი, რომელზეც სტუდენტები მეტ-ნაკლებად არიან ინფორმირებულნი, მიუხედავად იმისა, რომ შეფასების გასაჩივრების მექანიზმი ასახულია გამოცდების ჩატარების ინსტრუქციაში, ვიზიტის დროს გამოკითხული სტუდენტების ძირითადი ნაწილი ვერ აღწერდა შეფასების გასაჩივრების პროცესს, რის მიზეზადაც გამოცდილებაში მისი საჭიროების არ ქონას ასახელებდნენ. აღნიშნულის გათვალისიწნებით, ექსპერტთა ჯგუფი თვლის რომ სასურველია სტუდენტების მეტად ინფორმირება აპელაციის მექანიზმთან დაკავშირებით, რათა შეფასების სისტემა იყოს მეტად გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. გასაჩივრებულ ნაშრომს ასწორებს კვლავ საგნის ლექტორი, თუმცა სტუდენტის უკმაყოფილების შემთხვევაში, რექტორთან მიმართვის საფუძველზე, იქმნება სააპელაციო კომისია. შეფასების მექანიზმის ობიექტურობის გასაზრდელად, სასურველია აპელირებული ნაშრომი შეფასდეს ერთზე მეტი შემფასებლის მიერ.

სამართლიანი და ობიექტური შეფასების უზრუნველყოფისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედებს ''აკადემიური

კეთილსინდისიერების დაცვის წესი'', რომელშიც ასახულია პლაგიატის გამოვლენისა და მასზე რეაგირების პროცედურა, აკრედიტაციის ვიზიტის დროს სტუდენტთა ინტერვიუირების შედეგად იკვეთება, რომ სტუდენტები ფლობენ ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ. შეფასების შედეგების ანალიზი გამოიყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად, განხორციელდა რიგი ცვლილებები სხვადასხვა კურსის სილაბუსებში, დაემატა საათები ლაბორატორიული სამუშაოებისთვის. სტუდენტებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ მათი უკუკავშირის საფუძველზე სწავლა-სწავლების მეთოდები გახდა მეტად პრაქტიკული, გამრავალფეროვნდა სწავლის მეთოდები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ თვითშეფასების ანგარიში ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ○ ელექტრონული პორტალი ○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, შეფასების კომპონენტები და მეთოდები მეტად იყოს მორგებული თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკასა და კურსის სწავლის შედეგებს; ○ სასურველია, სტუდენტების მეტად ინფორმირება უნივერსიტეტში არსებული აპელაციის მექანიზმის შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ კარგად გამართული ელექტრონული პორტალი, რომელშიც ასახულია სტუდენტისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია; ხელმისაწვდომი ელექტორნული ბიბლიოთეკა, რომელშიც იძებნება სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა; აღნიშნული სისტემა საკმაოდ მარტივი საკომუნიკაციო საშუალებაა სტუდენტსა და უნივერსიტეტის აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ პერსონალს შორის.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული გამოკითხვების შედეგების შედარებისა და ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ სტუდენტები სხვადასხვა წყაროდან სისტემატურად იღებენ კონსულტაციას სასწავლო პროცესის, დასაქმების, კარიერული განვითარების, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების შესახებ. სტუდენტების თქმით, აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდებათ ელექტრონულ პორტალზე, გარდა ამისა, კონსულტირების პროცესში ჩართულნი არიან ადმინისტრაცია, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური, კურატორები. არსებობს კონსულტაციების განრიგი, რის შესახებაც სტუდენტები ფლობენ ინფორმაციას.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი, რომლის დანიშნულებასაც საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში სტუდენტების ჩართულობის უზრუნველყოფა და აღნიშნულის შესახებ მათი ინფორმირება წარმოადგენს. უნივერსიტეტში მოქმედებს სამეცნიერო კლუბები, სადაც სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, ჩაერთონ კვლევით საქმიანობაში, თუმცა აკრედიტაციის ვიზიტის დროს გამოკითხული სტუდენტები არ ფლობდნენ ინფომაციას აღნიშნულის შესახებ, ამასთან, არცერთ მათგანს არ ჰქონდა პროექტებში, კვლევებში, კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღების გამოცდილება, ასახელებდნენ მსგავსი გამოცდილების მქონე თანაკურსელებს. გამოიკვეთა, რომ სტუდენტებს მეტ-ნაკლებად აქვთ ინფორმაცია და შესაძლებლობა, თუმცა ნაკლებად არიან ჩართულნი ზემოთ განხილულ პროცესებში. აღნიშულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, სტუდენტების ჩართულობის გაზრდა ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში.

უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა ჩართულობის გაზრდის მიზნით, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს წახალისების სისტემა - კონფერენციებში გამარჯვებულნი იღებენ ფულად ჯილდოს, იბეჭდება მათი ნაშრომები სამეცნიერო ნაშრომთა კრებულში, ეძლევათ სერთიფიკატები, ამის შესახებ ინფორმირებულნი არიან სტუდენტები. გარდა ამისა, გაიცემა სხვადსხვა სახის სტიპენდიები.

ამასთან, უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი, რომელშიც გაწერილია პროცედურა, თუ როგორ უნდა მიიღოს სტუდენტმა დაფინანსება სხვადასხვა ტიპის პროექტების განსახორციელებლად, აკრედიტაციის ვიზიტის დროს გამოკითხულ სტუდენტთაგან არცერთს არ ჰქონდა პროექტის დაფინანსების გამოცდილება, რაც კვლავ ხაზს უსვამს ამგვარ პროცესებში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდის საჭიროებას.

სტუდენტთა კარიერული განვითარების უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან. აკრედიტაციის ვიზიტის დროს დამსაქმებელთა ინტერვიუირების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი სისტემატურად ასაქმებენ პროგრამის კურსდამთავრებულებს და სტუდენტებს, აძლევენ მათ სტაჟირების გავლის შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელ-მ-წიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსა-ხურის დებულება
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- საკონსულტაციო განრიგი
- სტრატეგიული განვითა-რების და საგარეო ურთიერთობათა დეპარტა-მენტის დებუ-ლება
- ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა საერთაშორისო მობილობაში, ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან	✓			

ინდივიდუალური მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში, ძირითადად, ჩართულია სათანადო კვალიფიკაციისა და კომპეტენციის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელიც ფლობს შესაბამის სამეცნიერო ხარისხსა და აქვს პრაქტიკული მუშაობის რამდენიმეწლიანი გამოცდილება.

ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი: პროფესორი 1, ასოცირებული პროფესორი 3, ასისტენტ-პროფესორი 1, ასისტენტი 2; 1 ემერეტუსი და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტები (დოქტორანტები).

აკადემიურ პერსონალს აკადემიური თანამდებობები დაკავებული აქვთ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კონკურსის წესით. პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევა ხდება პირის პროფესიული კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების, მისი კომპეტენციისა და პიროვნულობის შესაბამისობით საკონკურსო თანამდებობასთან.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ჩართულ პროფესორებსა და მოწვეულ პედაგოგებს აქვთ ფსიქოლოგიის დარგში სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის

აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება; ბსუ-ში მოქმედებს აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი და პირობები

აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვაში შედის ისეთ საქმიანობები, როგორიცაა სილაბუსების შემუშავება და მათი პერიოდული გადასინჯვა; სალექციო მეცადინეობების ჩატარება; პრაქტიკული სასემინარო დავალებების მომზადება; შუალედური და დასკვნითი გამოცდების საკითხების მომზადება; პრაქტიკული სავარჯიშოების მომზადება; სტუდენტებისათვის კონსულტირების გაწევა; საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში ჩართვა.

აღსანიშნავია, რომ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაშიც. შესაბამისად, თითოეულ მათგანს უწევს ლექცია-სემინარებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების გარდა, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა, რაც ზრდის მათ დატვირთვას. უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ვიზიტის მსვლელობისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ნათელი გახდა, რომ პროგრამის სრულფასოვნად განხორციელებისთვის მიზანშეწონილია პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რათა მათ შეძლონ როგორც აკადემიური (ლექცია-სემინარები, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღანელობა), ისე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტურად წარმართვა.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, მათი დატვირთვის გათვალისწინებით, მეტწილად შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამუშაო აღწერილობები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- უსდ-ს ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი;
- აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის სამსახურთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რათა მათ ეფექტურად შეძლონ როგორც აკადემიური (ლექცია-სემინარები, საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღანელობა), ისე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართული პირების შეფასებას. შეფასებაში მონაწილეობას იღებენ სტუდენტები, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსის მართვის სამსახური. თითოეული მათგანი კონკრეტულ ასპექტს აფასებს, როგორიცაა სამუშაო აღწერილობა, ოპერაციული მიზნები, საბაზისო კომპეტენციები, ქცევითი კომპეტენციები და კვლევითი საქმიანობა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელებს აწვდის ინფორმაციას შეფასების შედეგებზე და ამ შედეგების ანალიზს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ელექტრონული სისტემა, რომელიც მოიცავს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის კომპონენტებს და ასახავს კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის, სწავლებისა და აკადემიური ჩართულობის მიმართულებებს. ბსუ ხელს უწყობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას, ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებაზე. კერძოდ, აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე და

მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობის/მივლინების დაფინანსების მოპოვებასთან დაკავშირებულ პროცედურებს არეგულირებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესი, რომელიც ბსუ-ში დასაქმებულ პირს საშუალებას აძლევს, პროფესიული განვითარების მიზნით მონაწილეობა მიიღოს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამართულ ღონისძიებებში.

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში მოქმედებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი შიდა საგრანტო კონკურსი, რომლის მიზანია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე დარგობრივი ან/და ინტერდისციპლინური კვლევების ჩატარება, უნივერსიტეტის ახალგაზრდა მკვლევართა მოზიდვა და მათი სამეცნიერო პოტენციალის გაზრდა, თანამედროვე კვლევების შედეგების გავრცელება.

უნივერსიტეტში მოქმედებს ადმინისტრაციის მიერ პერსონალის წამახალისებელი ღონისძიებების სისტემა, რომელიც ემსახურება პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო პოტენციალის განვითარებას, რაც რეგულირდება ბსუ-ს შინაგანაწესის და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დადგენილი რეგულაციებით.

ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, გულისხმობს სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესების ინტერნაციონალიზაციას, გაცვლით პროგრამებში პროფესორების, მკვლევარებისა და სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას, საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციას, უცხოელი სტუდენტების მოზიდვას და უცხოეთის უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან აქტიურ თანამშრომლობას და კვლევების ინტერნაციონალიზაციას.

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პირები აქტიურად თანამშრომლობენ უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტთან, პროფესორ-მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში, კერძოდ, უნივერსიტეტში მოქმედ “ERASMUS+“ გაცვლითი პროგრამის სხვადასხვა პროექტში.

როგორც იკვეთება, უნივერსიტეტი ზრუნავს პროგრამაში ჩართული პირების განვითარებაზე. დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მიწვეულ პერსონალს შესაძლებლობა აქვს, მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კვლევებსა თუ კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, გამოაქვეყნონ სახელმძღვანელოები და სამეცნიერო ნაშრომები უცხოეთის და ადგილობრივ გამოცემებში; და ასევე, ინტერვიურებისას გაირკვა, რომ უსდ თავისი პედაგოგების უცხო ენის გაუმჯობესებაზეც ზრუნავს და მათ უფასო ინგლისური ენის შემსწავლელი კურსებით უზრუნველყოფს. თუმცა, ასევე ინტერვიუებიდან გაირკვა, რომ მოწვეული პერსონალი ნაკლებად არის ჩართული როგორც კვლევით, ისე სხვა პროფესიულ განმავითარებელ საქმიანობებში. შესაბამისად, სასურველია მოწვეული პერსონალის მოტივირება, რათა მეტად გააქტიურდნენ როგორც კვლევითი

საქმიანობის (კვლევა და გამოქვეყნება), ისე უსდ-ს მიერ შეთავაზებულ განმავითარებელ აქტივობებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უსდ-ს ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარსხის სამსახურთან, სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია მოწვეული პერსონალის მოტივირება, რათა მეტად გააქტიურდნენ როგორც კვლევითი საქმიანობის (კვლევა და გამოქვეყნება), ისე უსდ-ს მიერ შეთავაზებულ განმავითარებელ აქტივობებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დღევანდელი პანდემიის სიტუაციიდან გამომდინარე, პროგრამის შეფასება განხორციელდა თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, შესაბამისად, მატერიალური რესურსის დათვალიერება განხორცილდა ვიდეო-ტრანსლირების რეჟიმში. მატერიალური რესურსების შესახებ ინფორმაციის დაზუსტება ექსპერტთა მხრიდან მოხდა თვითშეფასების ანგარიშით და ინტერვიურების გზით. აღნიშნულზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული მატერიალურ-

ტექნიკური რესურსები სრულად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მეორე კორპუსში, სადაც განლაგებულია სასწავლო აუდიტორიები, კაბინეტები, რომლებიც აღჭურვილია სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარით. პროგრამას ემსახურება ფსიქოლოგიის კლინიკა.

უნივერსიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი, ბიბლიოთეკა, განთავსებულია ბსუ-ს ადმინისტრაციულ კორპუსში. აერთიანებს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების საბიბლიოთეკო რესურსს. ამდენად, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, გამოიყენონ სამეცნიერო კვლევითი ცენტრის შესაბამისი მიმართულებების შენობებში განთავსებული ბიბლიოთეკებიც. ბსუ-ს ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს ბსუ-ში მიმდინარე საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დროულ და თანამედროვე ინფორმაციულ მხარდაჭერას. ბიბლიოთეკის საქმიანობას არეგულირებს ბიბლიოთეკის დებულება. სტუდენტებს შეუძლიათ ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობაც. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემებიც. საჭირო ლიტერატურის დროული და შეუფერხებელი მოძიებისთვის შექმნილია სისტემური, თემატური და ელექტრონული კატალოგები.

აღსანიშნავია, რომ ბსუ-ს სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს წვდომა აქვთ წიგნად ფონდთან და აკაკი წერეთლის საჯარო ბიბლიოთეკაზეც.

უნივერსიტეტში ეტაპობრივად ხდება წიგნადი ფონდის განახლება. ბსუ დარეგისტრირებულია პროექტში "ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის - eIFL" კონსორციუმის წევრად, რაც საშუალებას აძლევს ბსუ-ს ბიბლიოთეკის მომხმარებელს, გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები: EBSCOHost (http://-search.¬epnet.com), (Cambridge University Journals (http://journals. cambridge.org), Oxford University Journals (http://www.oxfordjournals.org), Oxford Reference Online (http://www.-oxfordreference.com), Royal Society Journals Collection (http://royalsocietypublishing. org), BioOne (http://bioone.org)) (დაწვრილებითი ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე http://bsu.edu.ge/sub-15/page/2-174/index.html).
უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა და საბიბლიოთეკო რესურსი, როგორც რაოდენობრივად, ასევე, ხარისხობრივად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ბსუ-ში ფუნქციონირებს სინქრონული თარგმნის აპარატურით აღჭურვილი კაბინეტები, საკონფერენციო დარბაზი, სააქტო და სპორტული დარბაზი, ღია მოედანი. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, ჩაერთონ კალათბურთის, რაგბის, ფრენბურთის, ფუტსალის, კრივის, მაგიდის ჩოგბურთისა და მკლავჭიდის წრეებში, რომლებიც მონაწილეობენ საქართველოს საუნივერსიტეტო ლიგისა და საუნივერსიტეტო ჩემპიონატის თამაშებში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის კორპუსები აღჭურვილია პანდუსებით. ასევე, პანდუსითაა დაკავშირებული ერთმანეთთან I და მე-2 კორპუსი. გარდა ამისა, მე-2 სასწავლო კორპუსს, ეზოს მხრიდან, აქვს პანორამული ლიფტი შშმ პირებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბიბლიოთეკო რესურსი; ○ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან; ○ ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან ინტერვიუსა და სისტემის დემონსტრირების შედეგები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სტუდენტებთან ინტერვიუ.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების – ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით. ამგვარად, საუნივერსიტეტო ბიუჯეტით დაბალანსებულია პროგრამის განხორციელებისათვის გაწეული ხარჯები და შემოსავლები: 1 სასწავლო წლის შემოსავალია 450 000 ლარი, პროგრამის განმახორციელებელი მოწვეული და აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურებაა (პირდაპირი დანახარჯები) 113 049 ლარი. არაპირდაპირი დანახარჯები (პროგრამის განხორციელებასა და განვითარებსთან დაკავშირებული) -180 000 ლარი; სულ - 293 089 ლარია, მოგება - 156 911 ლარი.

ასევე, ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია: აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება, კვლევითი პროექტების დაფინანსება, რეაქტივების, ლიტერატურის, კომპიუტერული ტექნიკის, ლაბორატორიული დანადგარებისა და სხვა ინვენტარის შეძენა, სასწავლო–საველე პრაქტიკის დაფინანსება, სახელმძღვანელოების ბეჭდვის თანადაფინანსება, სტიპენდიისა და სასწავლო–სოციალური პროგრამების დაფინანსება; გარდა ამისა, ხდება აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსება, სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების დაფინანსება, სტუდენტის მიერ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობისთვის ერთჯერადად წამახალისებელი ფულადი ჯილდო, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და კომუნალური დანახარჯები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უსდ-ის ბიუჯეტი; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და

აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებებით ჩანს, ბსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას არეგულირებს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 17 ივლისის №10 გადაწყვეტილებითა და „ბსუს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება ითვალისწინებს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებისა და კვლევის მაღალ ხარისხს; საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას; პერსონალის მაღალ კვალიფიკაციას; სასწავლო რესურსებისა და სერვისების მაღალ ხარისხს; სწავლებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაციას; პერიოდულ და ეფექტურ მონიტორინგს, შეფასებას და რეაგირებას. შიდა ხარისხის კულტურის ზრდა ეფუძნება დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი, დამსაქმებლები და სხვ.) ჩართვას და აქტიურ მონაწილეობას. რაც დასტურდება ფაკულტეტის, უნივერსიტეტის ხარსიხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და გასუბრებით დასტურდება, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, რომელიც ითვალისწინებს პედაგოგიურ, სამეცნიერო და საუნივერსიტეტო სხვა აქტივობებში პერსონალის მონაწილეობის შეფასებას. რაც მოიცავს: პროფესორ-მასწავლებლის ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, სილაბუსების განახლებისა და სრულყოფის, სასწავლო მასალების შემუშავების პროცესში, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის, მათი ინტერვიუირებისა და სხვა აკადემიური აქტივობის შედეგებს. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები წარმოდგენილია სრული პაკეტით,: საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი, სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასება, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, კურსდამთავრებულთა დასაქმების, დამსაქმებლის დამოკიდებულებისა და შრომის ბაზრის კვლევის ინსტრუმენტები, რაც განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის პრინციპებს. ხარისხის პოლიტიკის პრინციპების განხორციელებისათვის არსებობს შემდეგი მექანიზმები: სასწავლო პროცესის მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების,

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების, ბსუ-ს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და განვითარების, სასწავლო რესურსების, სერვისების შეფასებისა და სრულყოფის, სწავლის, სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი პროცედურები; რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებითა და გასაუბრებების შედეგებით.

ბსუ-ში 2017 წლიდან მოქმედებს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შეფასების წესი. ხარისხის შიდა შეფასება ხორციელდება ელექტრონული პლატფორმის- www.apa.bsu.edu.ge გამოყენებით, რომელიც მოიცავს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის კომპონეტებს და ასახავს კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის, სწავლებისა და აკადემიური ჩართულობის მიმართულებებს. სამეცნიერო საქმიანობის შეფასების პროცესში დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით, შეფასების წესში 2019 წელს შეტანილი იქნა გარკვეული ცვლილებები, რამაც შეფასების პროცესი უფრო გამჭვირვალე და ობიექტური გახადა.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის ამაღლების მიზნით, შემუშავდა და განისაზღვრა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სავალდებულო მოთხოვნები. შეფასების პროცესში ძირითადი აქცენტი ეთმობა სამეცნიერო ნაშრომების საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებას. კერძოდ, შეფასების კომპონენტებად განისაზღვრა:

1. სამეცნიერო ნაშრომები/გამოგონება/პატენტი (ქვემოთ მოყვანილია) ან ბ) ქვეპუნქტის შესრულება):
   ა) სამეცნიერო ნაშრომების ინდექსირება Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ან Google Scholar ან სხვა საერთაშორისო ბაზებში;
   ბ) გამოგონების/პატენტის რეგისტრირება ეროვნულ ან საერთაშორისო საპატენტო ორგანიზაციებში.
2. სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა: სამეცნიერო ღონისძიების აბსტრაქტების/ გამოცემების ინდექსირება Web of Science ან Scopus ან ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ან Google Scholar ან სხვა საერთაშორისო ბაზებში;
3. გამარჯვებულ/დაფინანსებულ სამეცნიერო საგრანტო პროექტებში (საერთაშორისო, ეროვნულ ან/და საუნივერსიტეტო) მონაწილება ან/და შესაბამის საგრანტო კონკურსში მაღალი შეფასების (80% და მეტი) მიღება;
4. ასევე მოქმედებს სხვა სამეცნიერო აქტივობები: სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობა ან სამეცნიერო პროექტებში სტუდენტთა ჩართულობა, საბაკალავრო/სამაგისტრო /სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა, სამეცნიერო სემინარების ჩატარება, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა, სამეცნიერო გამოცემების რედკოლეგიის წევრობა, მონოგრაფიის რედაქტორობა ან სამეცნიერო ნაშრომის რეცენზირება ან საექსპერტო მომსახურება და სხვა;

ბსუში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის ამაღლების მიზნით, შემუშავებული და განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სავალდებულო მოთხოვნები, დადგენილია შეფასების შედეგების ანალიზისა და წახალისების მექანიზმები.

შეხვედრებისას ინტერვიუებში იკვეთება, რომ ფსიქოლოგიის საბაკალავრო - საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პირები იცნობენ ამ მექანიზმებს და მათ გამოყენებას ეფექტურად მიიჩნევენ პროგრამისა და თვითგანვითარებისათვის.

შიდა ხარისხის მექანიზმებით გამოვლენილი ხარვეზების განხილვა ხდება სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტში, ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე, მუშავდება რეკომენდაციები, რომლის საფუძველზე ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები.

პერსონალის შეფასების შედეგები გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის არჩევის წესში, რაც ზრდის პროფესორ-მასწავლებელთა პასუხიმგებლობას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას.

პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი) მონაწილეობას, პროგრამის განხორციელების უწყვეტ მონიტორინგს და მუდმივ განვითარებას.

რეაკრედიტაციისათვის საგანმანათლებლო პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში სამუშაო ჯგუფთან ერთად ჩართულნი იყვნენ დაინტერესებული მხარეები (დამსაქმებლები, სტუდენტები, პროფესორები) და კურიკულიუმის კომიტეტი. პროგრამის განმახორციელებელმა პროფესორ-მასწავლებლებმა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად იმუშავეს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე. რაც დასტურდება სამუშაო ჯგუფთან გასუბრებით. მათი თქმით, გადაიხედა სასწავლო კურსის სწავლის შედეგებსა და მათი მიღწევის აქტივობებს შორის კავშირი, ასევე შეფასების კრიტერიუმები დარგობრივი სპეციფიკის შედეგად, გაიწერა კურსების თემატიკის შესაბამისად, დაიხვეწა შეფასების მეთოდებიც.

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა გამოკითხვებისა და აკადემიური მოსწრების დამუშავების ელექტრონული სისტემა, რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამებისა და აკადემიური პერსონალის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს.

ელექტრონული სისტემით ტარდება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილ კვლევებს სტუდენტური პორტალის საშუალებით ახორციელებს ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი. რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციიათა და გასაუბრების შედეგებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის, 17 ივლისის №10 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“; https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_5450_1.pdf - დანართი 5.1.1;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ - დანართი 5.1.2;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის № 46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“; ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 14 აგვისტოს №06-01/92 დადგენილება ,,ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017

წლის 29 ივნისის №46 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ - დანართი 5.1.3;

- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის, 15 ივნისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“, https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8380_1.pdf - დანართი 5.1.4;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის №66 დადგენილება - „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“. ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/93 დადგენილება „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის №66 დადგენილებაშიცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ - დანართი 5.1.5;
- შრომის ბაზრის კვლევა, ოქმი №3 - დანართი 5.1.6;
- პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემა, იხ. www.apa.bsu.edu.ge - დანართი
- 5.1.7;
- ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/90 დადგენილება ,,ბსუ-ს
- სამეცნიერო კვლევის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ - დანართი 5.1.8
- დარგობრივი დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორები -
- დანართი 5.1.9
- ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები, გამოკითხვები - იხ. დანართი 5.1.10; საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბსუ წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N5 გადაწყვეტილება “საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ - დანართი 5.1.11.
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს გარე ხარისხის შეფასების სისტემა.

საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს გარე ხარისხის შეფასების ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა: კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, პროფესორ-მასწავლებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვას, საგანმანათლებლო პროგრამების გარე ექსპერტიზას, განიხილავს მათ და მიღებულ რეკომენდაციებს იყენებს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით.

გარე შეფასების მიზნით, პროგრამა გაიგზავნა ოკლოჰამას (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე მოხდა პროგრამაში კურსის-კველევითი პროექტის დამატება, რაც დასტურედება წარმოდგენილი გარე შეფასების დასკვნით.

პროგრამას აქვს ასევე მეორე გარე შეფასების დასკვნაც: უკრაინაის პეტრო მოჰილას სახელობის შავი ზღვის ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორის მიერ გაკეთებული გარე შეფასება, რომელიც დადებითად აფასებს პროგრამას და რელევანტურად მიაჩნია წარმოდგენილი პროგრამით მისაღწევ მიზანებსა და შედეგებზე გასვლა, რაც დასტურდება წარმოდეგენილი შესაბამისი დასკვნის დოკუმენტით.

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის მომზადებისას მოხდა პროგრამის დადარება ისეთ უცხოურ საერთაშორისო აკრედიტირებულ პროგრამებთან, როგორიცაა:

1. მურსიას კათოლიკური უნივერსიტეტი, ესპანეთი https://international.ucam.edu/studies/bachelor-in-psychology-on-campus/curriculum
2. გენტის უნივერსიტეტი, ბელგია https://studiegids.ugent.be/2020/EN/FACULTY/H/BACH/HBPSYCKL/HBPSYCKL.html
3. უტრეხტის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები https://www.uu.nl/masters/en/clinical-psychology/courses
4. პლიმოსის უნივერსიეტი, გაერთიანებული სამეფო https://www.plymouth.ac.uk/courses/postgraduate/msc-clinical-psychology?utm_source=google&utm_medium=rsa-eta&utm_content=dsa&utm_term=&campaign_id=13351450484&gclid=CjwKCAjwn6GGBhADEiwAruUcKpyl_w3ajuQdFIZCulQzH2YlNiZLgkgNRU0Co4Cf7aYlGk4zRtrfdBoCCqsQAvD_BwE

წარმოდგენილ კურსებში არის სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის კურიკულუმში არსებული მსგავსი კურსები, ზოგიერთი სასწავლო კურსის კრედიტები ემთხვევა წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურაში შემავალი კურსების კრედიტების რაოდენობას, რაც დასტურდება უცხოური საერთაშორისო აკრედიტირებული პროგრამებების მოკლე ანოტაციებით წარმოდგენილი დოკუმენტით და პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრებებით.

პროგრამის გარე შეფასების მიზნით, მოხდა მისი განხილვა დამსაქმებლებთან და მათი რეკომენდაციები აისახა კურიკულუმში, კერძოდ: ● პროგრამას დაემატა პრაქტიკისა და კვლევის კომპონენტები; ● გაიზარდა პრაქტიკული, მეცადინეობების და ჯგუფში მუშაობის წილი; ● გაიზარდა კრედიტების მოცულობა პრაქტიკის სასწავლო კურსებში; ● კურიკულუმს დაემატა პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების კომპონენტი- სასწავლო კურსი - ლოგოპედიაში; რაც დასტურდება დამსაქმებლებთან გასაუბრებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება ○ „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ - დანართი 5.2.1; ○ საგანმანათლებლო პროგრამა - სასწავლო გეგმა - დანართი 5.2.2; ○ ბსუ-ს ხარისხის სამსახურის კვლევები, გამოკითხვები - დანართი 5.2.3; ○ პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასება - დანართი 5.2.4; ○ ბაზრის კვლევის ანალიზი და დამსაქმებელთა შეხვედრის ოქმი №3 ○ დანართი 5.2.5; დამსაქმებელთა გამოკითხვა - დანართი 5.2.4 ○ კურსდამთავრებულთა გამოკითხვა - დანართი 5.2.4 ○ უცხოური საერთაშორისო აკრედიტირებული პროგრამებების მოკლე ანოტაციები ○ გასაუბრების შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბსუ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესისა და აკადემიური პერსონალის შეფასებისა და განვითარების ხელშეწყობას, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების, დასაქმების ბაზრის კვლევის ინსტრუმენტების სრულყოფას და მართვის პროცესში მათ გამოყენებას.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ აკადემიური პერსონალის შეფასების წესში მოცემულია პედაგოგიურ, სამეცნიერო და საუნივერსიტეტო სხვა აქტივობებში მისი მონაწილეობის შეფასებას. რაც გაითვალისწინება აკადემიური პერსონალის არჩევის წესში, ეს კი მნიშვნელოვნად ზრდის ა სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას.

საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, რაც გულისხმობს მეცადინეობებზე დასწრებას, სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასებას, გამოცდების მონიტორინგს და შედეგების ანალიზს. სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა.

2017 წლიდან ელექტრონული სისტემით ტარდება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვაც.

შემუშავებულია სტუდენტთა გამოკითხვებისა და აკადემიური მოსწრების დამუშავების ელექტრონული სისტემა. სასწავლო პროცესის მონიტორინგით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე დგინდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციის მიღწევის დონე.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შიდა (სტუდენტთა გამოკითხვა, სასწავლო პროცესის, საგამოცდო მასალების, გამოცდების მიმდინარეობის მონიტორინგი, ურთიერთდასწრება, აკადემიური მოსწრების ანალიზი, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასება და სხვა) და გარე შეფასების მექანიზმებით (კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა და სხვა) ადგენს პროგრამის განხორციელებაში არსებულ ხარვეზებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც განიხილება დარგობრივ დეპარტამენტში, რის საფუძველზეც იგეგმება ცვლილებების შეტანა. ცვლილებები განიხილება კურიკულუმის კომიტეტისა და ფაკულტეტის საბჭოზე. დასამტკიცებლად გადაეცემა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

აღნიშნული ცვლილებების განხორციელებაში აქცენტირებულია დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა წინადადებები.

ყურადსაღებია სტუდენტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები ცალკეული სასწავლო კურსის შინაარსის, სწავლების მეთოდების, სწავლის შედეგების, გამოყენებული ლიტერატურის მიმართ. რაც დასტურდება წარმოდგენილი დოლუმენტაციით, ინტერვიუებით.

პროგრამის შეფასების მიზნით ჩატარებული გამოკითხვის ანალიზის შესაბამისად, რომელშიც მონაწილეობდნენ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, განხორციელდა გარკვეული ცვლილებები:

- ✓ სილაბუსებში კვირების მიხედვით წარმოდგენილ თემატიკასთან შესაბამისად, გაიწერა მოხდა სწავლების მეთოდები.
- ✓ გაიხსნა ფსიქოლოგიური კლინიკა, რომელიც აღიჭურვა თანამედროვე ხელსაწყო-აპარატურით;
- ✓ დაემატა ძირითადი სასწავლო კურსი - ლოგოპედია;
- ✓ დაემატა სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსი - სქესობრივი ურთიერთობის ფსიქოლოგია; ემოციური ინტელექტი; ფსიქიკურ სნეულებათა ეტიოლოგია; მომავლი დაგეგმვა და კარიერული განვითარება;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“; https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8380_1.pdf - დანართი 5.3.1.
- ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის № 46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“; ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 14 აგვისტოს №06-01/92 დადგენილება ,,ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“; პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემა იხ. www.apa.bsu.edu.ge - დანართი 5.3.2;
- ○ სტუდენტთა გამოკითხვები https://portal.bsu.edu.ge/ - დანართი 5.3.3;
- ○ ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები, გამოკითხვები - დანართი 5.3.4;
- ○ პროგრამის შეფასების შედეგები, გამოკითხვა - დანართი 5.3.4
- ○ გასაუბრებები. ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, უმაღლესი განათლების პირველი საფეხური

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 44

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ნანა ბურდული 

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

ნათია სორდია

სალომე საბიაშილი 

ირმა ქურდაძე

ჯინა შოგირაძე